სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თორნიკე ქოჩქიანის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	21	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	87	100

ლევან ნემსაძე [signature]

თარიღი: 07.07.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან ნემსაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის №1/23 განკარგულებით სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - თორნიკე ქოჩქიანის

შეფასება დასაბუთება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის №1/23 განკარგულებით, დაიწყო სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 25 მარტის №1/32 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში, კანდიდატად დარეგისტრირდა თორნიკე ქოჩქიანი. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც დეტალურად გავეცანი. 2025 წლის 29 აპრილს ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა, რომელშიც მივიღე მონაწილეობა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის" 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე შეფასდა - „კანონის" 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

კანდიდატი - 32 წლისაა. განათლება: უმაღლესი იურიდიული, მაგისტრი (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2018წ.), ნასამართლობა: არა; სპეციალობით მუშაობის გამოცდილება - 10 წელი, კერძოდ:

- 2015 წლის თებერვალი - 2017 წლის ივნისი, კანცელარიის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის წამყვანი სპეციალისტი - თბილისის საქალაქო სასამართლო;

- 2017 წლის ივნისი - 2018 წლის აგვისტო, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სამდივნოს სხდომის მდივანი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2018 წლის აგვისტო - 2019 წლის მაისი, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწე - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2019 წლის მაისი - 2023 წლის ოქტომბერი, თავმჯდომარის ბიუროს მოსამართლის (თავმჯდომარის) თანაშემწე - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2023 წლის ივლისი - 2023 წლის აგვისტო, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სამდივნოს უფროსის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებელი - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2017 - 2023 წლები, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სამდივნოს წევრი და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი - საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია და ადმინისტრაციული კომიტეტი;
- 2023 წლის ოქტომბერი - 2025 წლის თებერვალი, მსმენელი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის პასუხისმგებლობის გრძნობას, თავმდაბლობას, გაწონასწორებულობას, თავაზიანობას, სამართლიანობას, კომპეტენტურობას, შრომისმოყვარეობას, კომუნიკაბელურობას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს.

გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ინფორმაცია არ იძებნება. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით. კანდიდატი არ არის/ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი. კანდიდატის სახელზე რეგისტრირებულია ბინა, 37.07 კვ.მ. თბილისი. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ერთი ფაქტი, დაკისრებული ჯარიმა გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. მის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი: რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 7.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება:

- სამოქალაქო სამართალი - თორნიკე ქოჩქიანს აქვს კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი ლოგიკური მსჯელობა. მიუხედავად იმისა, რომ მისი საგამოცდო მიმართულება სისხლის სამართალში იყო, სამოქალაქო დავათა განხილვის პროცესშიც მსმენელმა წარმოაჩინა სწორი სამართლებრივი არგუმენტების მოძიების, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირებისა და შესაბამისი დასკვნის გამოტანის უნარ-ჩვევები.

- ადმინისტრაციულ სამართალი - თორნიკე ქოჩქიანს აქვს კარგი თეორიული ცოდნა, რასაც სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. მას გააჩნია სამართლებრივი ანალიზის უნარი, საფუძვლიანი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებულია. ამასთან, სამომავლოდ, მან უნდა გააუმჯობესოს აკადემიური წერა.

- სისხლის სამართალი - თორნიკე ქოჩქიანი მიღებულ თეორიულ ცოდნას სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად მისადაგება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდირებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში:

- 2019 წლის 7-8 დეკემბერი, მართვის უნარები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- 2021 წლის 7 აპრილი, ირიბი მტკიცებულებებისა და სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადებების დასაშვებობა ოჯახური ძალადობის საქმეებზე - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- 2022 წლის 30 აპრილი - 1 მაისი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - იუსტიციის უმაღლესი სკოლა და სხვა.

კანდიდატმა წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომი, თემაზე: „კიბერდანაშაულის სისხლისსამართლებრივი ასპექტები“.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

არის დასაოჯახებელი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ კანონით დადგენილი წესით კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგების ანალიზის საფუძველზე შევაფასე კანდიდატის კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების თითოეული მახასიათებელი.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

„პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების შესრულებისას, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულება და ა.შ..

კანდიდატის შესახებ მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ერთი ფაქტი, დაკისრებული ჯარიმა გადახდილია დროულად. შესწავლილ მასალებში კანდიდატის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების ფაქტები არ ფიქსირდება.

კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებში რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას და პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებას.
შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.**

„დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა. კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.
რეკომენდატორები კანდიდატს პრინციპულ, სამართლიან და მიუკერძოებელ პიროვნებად ახასიათებენ. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.**

„პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება, კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი.

კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, გასაუბრების პროცესში არის თავდაჭერილი და ზრდილობიანი. კანდიდატის მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. რეკომენდატორები კანდიდატს გაწონასწორებულ და კომუნიკაბელურ პიროვნებად ახასიათებენ. მიმაჩნია, რომ მისი ქცევა იქნება სათანადო და ადეკვატური სამოსამართლო ფუნქციის განხორციელებისას.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.**

„პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ასევე ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

კანდიდატი სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის“ 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც სამართლებრივი, ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული და კომპეტენტური.

შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხების კარგი ცოდნა. აქვს ანალიზის კარგი უნარი. მნიშვნელოვანი ხასიათის დარღვევები და უზუსტობები არ დაფიქსირებულა.

აღნიშნული კითხვა-პასუხის და მათი სირთულის გათვალისწინებით გავაკეთე დასკვნა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული **„სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შეავფასე -22 ქულით.**

„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას, ვიხელმძღვანელე მის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომით,

ასევე დავეყრდენი დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, რეკომენდატორთა დახასიათებებსა და კანდიდატთან გასაუბრების შედეგებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ **„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს -21 ქულით.**

კანდიდატი გამართულად მეტყველებს, აზრს ძირითადად ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. აქვს სხვისი აზრის მოსმენის უნარი. ამასთან დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების, რეკომენდატორთა დახასიათებების, კანდიდატთან გასაუბრების შედეგად, ასევე მის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ანალიზის საფუძველზე მივიჩნიე, რომ იგი, **„წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს -18 ქულით.**

კანდიდატი შრომისმოყვარე და ძიზანდასახულია. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად. უთითებენ, რომ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას არის ორგანიზებული და თანმიმდევრული.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, **„პროფესიული თვისებების“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს -14 ქულით.**

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირადაა ჩართული. მონაწილეობს სხვადასხვა შეხვედრებსა და სემინარებში. ზრუნავს თვითგანვითარებაზე. მას გააჩნია ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენისა. შესაბამისად **„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე - 9 ქულით.**

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებში. შესაბამისად, **„პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე - 3 ქულით.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანდიდატს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 87 ქულას.

ხელმოწერა

თარიღი: 07.07.2025